ISSN 0132-0015

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ლადო ზამბახიძისა

— ავადმყოფს კალორიული კვება სჭირდება. ხიზილალა უნდა აჭამოთ!..
— ხიზილალა კი მაქვს, მაგრამ ქალე-ხზე რალა ვქნა?!.

ნიანგი

3 83



... ირიურაუა თუ არა, მტერს შეუტიეს ქართველებმა. ნამძინარევი ყიზილბაშები წამოიშალნენ და იატაგანები იშიშვლეს. ფერხულივით შეჰკრეს რამდენიმე წრე ქართველებმა, ერთმანეთს ზურგს უმაგრებდნენ და ახლა იარაღსა და ვაჟკაცობას უნდა გადაეწყვიტა ბრძოლის ბედი!.. ქართველი ყიზილბაშს ერკინებოდა, ხმალი — იატაგანს!.. ვადამდე აკაფეს იატაგანები ხმლებით!.. და იყვირა დადედლებულმა დუშმანთ სარდალმა: „ეჰეიი, თუ იატაგანებზე მაგარი კისრები არა გაქვთ, თავს უშველეთ!“ ცხვრის ფარასავით მიერეკებოდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს ბოსტანქალაქში ნაწრთობი „ბასრისა მჭრელი“ ხმლებით ლომკაცები!..

... ამ სულ რაღაც ოცდაცხრამეტი წლის წინათ, მაშინ, ჯერ კიდევ ზუსტად რომ არავინ იცოდა, როდის დამთავრდებოდა დიდი სამამულო ომი, რუსთავში ახალი ქალაქის საძირკვლის ჩაყრა დაიწყეს. აი, ამას ჰქვია საბჭოური ოპტიმიზმი, აი, ამიტომაა რუსთავი საბჭოთა ქვეყნის ღვიძლი შვილი, უძველეს ნაფესვარზე დამყნობილი და აღმოცენებული შრომის ქალაქი, ინტერნაციონალური ქალაქი, სოციალისტური ქალაქი, ინდუსტრიული ქალაქი, ხოლო უძველეს კვერითხუროთა შთამომავალი **შოთა ლომიძე** საბჭოთა სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობს.

— აქ, ამ ადგილას, სადაც ახლა რუსთავია გაშენებული, უძველესი დროის მრავალი რკინის ნივთია ნაპოვნი! — გვეუბნება პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **რენარ გიორგაძე**, — ისტორიკოსების აზრით, მეტალურგიის კერა სწორედ აქ ყოფილა, ამიტომაც ქართველებს საძებარი და ხელოვნურად შესაქმნელი არ ჰქონიათ ეს დარგი — მემკვიდრეობით მივიღეთ ჩვენი სახელოვანი წინაპრებისაგან.

— ხშირად გაგვიგონია, რუსთავი ახალი ქალაქია და ამიტომ თავისი ტრადიციები არა აქვსო. თქვენ როგორ მიგაჩნიათ?

— აბა, გაიხედეთ მოედნისაკენ (მოედანზე, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძეგლთან, საქორწინოდ გამოწყობილი ნეფე-დედოფალი სამახსოვრო სურათს იღებდა), აი, ქალაქ რუსთავის ერთ-ერთი ტრადიცია. ან შვილი რომ მამის კვალს გაჰყვება და მეტალურგთა დინასტიას შეჰქმნის, ესეც განა ტრადიცია არ არის? თუმცა ტრადიციასაც გააჩნია. ამას წინათ რუსთაველი კაცი მივლინებით ყოფილა რესპუბლიკის ერთ ქალაქში. ვახშამზე დაუპატიჟებიათ და ღვინო დაუძალებიათ, უარი უთქვამს, ღვიძლი მტკივა და ვერ დავლევო. შეზარხოშებულ მასპინძელს გატენილი რევოლვერი მიუდვია მისთვის გულზე, ჩვენი ქალაქის ტრადიციაა, სტუმარი ისე უნდა დაათრო, შინ ბარბაცით წავიდესო, და თუ ამ დიდებულ ტრადიციას დამირღვევ, ვაჟკაცობას გეფიცები, აქვე გაგათავებო! სულ ყანწებით ასვეს ღვინო და რუსთაველ ექიმებს რომ არ ემარჯვათ, საქმე ცუდად იყო!..

— რუსთავი ინდუსტრიული ქალაქია...

— შეგიძლიათ, არ დაამთავროთ, რადგან უკვე გასაგებია, რაც გაინტერესებთ. თქვენ გინდათ იცოდეთ, თუ რას აკეთებს ინდუსტრიული ქალაქი სასურსათო პროგრამის გადასაწყვეტად! ალბათ დამეთანხმებით, არც ერთი სასოფლო-სამეურნეო იარაღი ულითონოდ არ კეთდება, გარდა ამისა, აშენდა უზარმაზარი აგლოფაბრიკა, ქიმიური ქარხანა სასუქებს აწარმოებს, თითქმის ყველა საწარმოს ამ მხრივ თავისი გეგმა აქვს, ხოლო რაც შეეხება მებაღეობა-მებოსტნეობის ამხანაგობებს, შეგახსენებთ იმ სიტყვებს, საქართველოს კომპარტიის VII პლენუმზე რომ ითქვა: **„საუცხოო მაგალითს იძლევიან რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მებაღეობა-მებოსტნეობის ამხანაგობები. აქ კოლექტიურ მებაღეობას მეტალურგთა 1800 ოჯახი მისდევს. მათი ბაღები თვალს ახარებს, ისე კარგად არის დამუშავებული და მოვლილი“.**

კარგის დაუნახავი კაცი იტყვის, პატრონი თუ თავის ბაღს კარგად მოუვლის, რა მოხდა მერე, მას არ რჩება ხილიცა და ბოსტნეულიცო?! საქმეც ისაა, რომ მისია და, ამავე დროს, ყველა მშრომელი ადამიანისაც. მთავარი კი ის არის, რომ აქ ნაღდად და ნათლად ჩანს პარტიისა და ხალხის ინტერესების ერთიანობა, ამიტომაც ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის თვალს ახარებს მშრომელი კაცის ოჯახის სიძლიერე.

ქალაქ რუსთავის პარტიული და საბჭოთა ორგანოების უნარიანი ხელმძღვანელობის მეოხებით მაღალ დონეზე დგას დამხმარე მეურნეობების საქმე. აბა, წარმოიდგინეთ, მარტო ვაჭრობის სამმართველომ შარშან, ნაცვლად 1440 ცენტნერი ღორის ხორცისა, 2596 ცენტნერი მიიღო.

არავინ იფიქროს, თითქოს რუსთავში მხოლოდ ღორის ხორცის წარმოებაზე იყოს ყველა გადასული. მარტო ღორის ხორცი ჩემმა მტერმა ჭამოსო და, მეტალურგებმა, ღორის სუქების გარდა, ბოსტნეულის სათბურიც მოაწყვეს, ხოლო თევზის გასამრავლებლად — სატბორე. მეტალურგის სიტყვა კანონია და უკვე წელს ათ ტონა „ცოცხალს“ გვპირდებიან. ამავე დროს მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოვლა-პატრონობაც გადაწყვიტეს, ჩვენი რძე და ყველი გვირჩევნია ნაყიდსო. ქიმიური ქარხნის მშრომელებმა ყველა ამ პროდუქტს თაფლიც მიუმატეს, ხოლო ქიმიური ბოჭკოს ქარხნის პერსონალმა მენიუში, სხვა პროდუქტებთან ერთად, მრავალფეროვნებისათვის ხელოვნურად მოყვანილი სოკოც შეიტანა.

ერთი სიტყვით, რუსთავში ინდუსტრიამ და სოფლის მეურნეობამ ძველი ძმაკაცებივით გადახვიეს ხელი ერთმანეთს და მეთერთმეტე ხუთნლედში დამხმარე მეურნეობებიდან მიიღებენ: ორი ათას ტონა ხორცს, ათას ორას ორმოცდათექვსმეტ ტონა რძეს, ორას ტონა თევზს, დახურული გრუნტიდან — ექვსას ტონა ბოსტნეულს და ა. შ.

ერთ საიდუმლოებასაც გავამხელთ: აქაურ ეზოებსა და სახლებს მაღლარი რომ მიჰკვრია, მისგან ისეთი ღვინო დგება, კაცი პირს ვერ მოაცილებს.

რუსთავი ცოცხალი ორგანიზმია, იგი სუნთქავს, ფიქრობს, შრომობს, ქმნის, აქ უხარიათ წარმატება და, რა თქმა უნდა, სწყინთ ნაკლი. ნაკლი კი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საკმაოა.

ქიმიური ქარხანა, მაგალითად, ახლა თითქმის თავიდან შენდება და, ალბათ, აღმოიფხვრება ის ნაკლოვანებები, ამჟამად რომ აქვთ ახალი სიმძლავრეების აუთვისებლობის, მუშაობის არარიტმულობის მხრივ, სამნახევარჯერ გაიზრდება ქიმიური ბოჭკოს ქარხანაც. სასურველია, ის ხარვეზები, რომლებიც აქ ჯერ-ჯერობით შეინიშნება, წარმოების ზრდასთან შედარებით, არაპროპორციულად შემცირდეს. ხოლო, რაც მთავარია, შემცირდეს ჯარიმები უხარისხო პროდუქციაზე, რომლის რაოდენობამ გასული წლის პირველ ნახევარში სამოცდაცხრა ათას მანეთს მიაღწია!

სასიხარულოა, ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ №1 ტრესტის დიდი წარმატებები და საწყენია მთელი რიგი ჩავარდნები, კერძოდ: დროზე ჩაუბარებელი ობიექტები, მიწერები, ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების უხარისხოდ შესრულება, ხელფასის ფონდების გადახარჯვა და სხვა.

რუსთაველებმა ამ რამდენიმე წლის წინათ მოწოდებით მიმართეს მთელ რესპუბლიკას — **„არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენს გვერდით!“** ამიტომ გვჯერა, რომ თვითონაც პირნათლად შეასრულებენ ნათქვამს! საამისოდ კი ყველა პირობაა უძველეს კვერითხუროთა ნაფუძარზე აღმდგარ ინდუსტრიულ-ინტერნაციონალურ ქალაქში!

გარი მეტრეველი,
ზურაბ ქაჯაია,
„ნიანგის“ სპეცკორესპონდენტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა

ტრანსპორტელთა თათბირზე:

— დაიწყეთ მოხსენება!
— რომელი სიჩქარით?

ანდაზები

● **რევიზორის** დამუქრება — ფულს მისცემ და გაუქმდება!
● **სანტექნიკის** მოლოდინში ტბა დადგება სახლის ძირში!
● **აგურს** ვაწყობ სილიკატურს, ვაი ჩემი სახლის პატრონს!
● **ფეხსაცმელი** „ისნისაო“ ლანჩს ტლინკივით ისვრისაო!
● **მაღაზიის** მწვანილო, ვაი ჭამის წადილო!
● **მიმტანი** რომ გაკეთდება, შენი ჯიბე აფეთქდება!

ვ. მამუკელაშვილი

ნახ. გ. ფირცხალავასი

— რატომ არავინ არ გამოდის კრიტიკით?
— დღეს, ბატონო, თევზის დღეა და პირი ყველას წყლითა აქვს სავსე!..

ლალი მარტაშვილი

ამის თქმა სჯობს არათქმასა

ერთ სოფელში კრების შემდეგ

წლეულს ზარალმა ისე დაგვრია ხელი,
აუწერელია ენით:
ლამის ყოველ ნაბიჯზე ჩაგვისაფრდა,
მერე კი სახლში შემოგვეჭრა და
მოწილესავით ჩაგვისახლდა!..
რატომ?! ვერ ვიმუშავეთ კარგად?! — ალბათ!
ზოგი ზარალის მთავარ მიზეზად
უამინდობას თვლის, ზოგს რომ ჰკითხო,
სამეურნეო ტექნიკა არ გვივარგა!
ზოგი ამბობს, რომ აქ სხვა არაფერი არ არის, —
უყაირათობაა მთავარი!
... იცი, კალოს რომ ვლეწავდით, რა დაგვემართა?!
იცი, რამდენი ხორბალი დაგვეფანტა?!
სხვას ნულარ იკითხავ, —
ზარალი ზარალზე დაგვემატა!
მზესუმზირა ისე ჩაგვიხურდა და აგვიმძაღდა,
რომ ზეთსახდელმა ქარხანამ არ მიიღო!
ჩვენზე კი ახი იყო!
რძის ჭურჭელს რომ რძე წურწურით გასდიოდა, —
არ ვიცი, ვინ აძლევდა ცრუ ცნობებს, —
ამ დროს ჩვენი ქება გვესმოდა რადიოდან!
... ვერ აუვედით ამდენ ელექტროხარჯებს!
დავსვით მორიგე და დავავალეთ —
გამორთოს სინათლე, როგორც კი ოდნავ ინათებს!
შევამოწმეთ, როცა ცაზე
ნამცეცი ღრუბელი არ ჩანდა,
მზე უხვად აფრქვევდა სითბოს და სინაზეს,
იმსიგრძე შარაზე კი ენთო სინათლე!
გავჯავრდით, ის ჩვენზე მეტად გაჯავრდა:
— „რა მოხდა?! რას ხედავთ აქ საშიშს?!
ზარალი?! ეს ხომ პაწია წვეთია დიდ ზღვაში?!“
ახლა მოდი და, ახსენ ამას, რომ,
როცა საქმე მიგყავს არეულ-დარეულად,
მაშინ დიდი ზღვაც კოვზით დალეულა!
მას, რა თქმა უნდა, შეეძლო
ჩვენი საყვედური აეცდინა,
მაგრამ მთელ ღამეს ბიჭებთან ღვინოს რომ სვამდა,
წაეძინა!.. ახლა ვთქვათ, თუ ვინ არის დამნაშავე?
— რაღა თქმა უნდა, ჩვენი თავმჯდომარე!
— ჰოდა, კრებაზე რომ მარტო თავმჯდომარე
გავაშავეთ, ჩვენ არაფერში ვართ დამნაშავე?!
— თავმჯდომარეს ცხრა თვალი და
ცხრა ყური უნდა ჰქონოდა, —
თქვენ ამბობთ, — კი ბატონო,
მაგრამ გვერდითაც ასეთი ხალხი
ხომ უნდა ჰყოლოდა?!
შენ რომ საწყობის გამგე ხარ, სიტყვაზე,
ხალხის მონაგარს არ უნდა უპატრონო?!
რომ არ გატიალდეს ნაოფლარი,
ამას გარჯა უნდა, გენაცვალე!
მეც, შენცა და სხვაც ამისთვის უნდა გავისარჯოთ,
ესე იგი, ჩვენც ვართ დამნაშავე,
მაგრამ თავმჯდომარე უნდა დაისაჯოს!
იმან უნდა დაწეროს განცხადება და წავიდეს!
ვიცი, მას ეს გაუჭირდება,
მაგრამ რას იზამს?!
ჩვენ უფრო ფხიანი თავმჯდომარე გვჭირდება!

აღარ მინდა ტელეფონი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



არ მ ი ნ დ ა, ბატონო, ტელეფონი! არ მინდა, მორჩა და გათავდა! ხომ შეიძლება, მეც ვიყო უტელეფონოდ?! ეს აუცილებელია, ვითომ, ისეთი: ყველას ტელეფონი რომ ედგას სახლში, ყველა რომ რეკავდეს და მთელ ქვეყანას აწუხებდეს — არიქა, გაიგეთ, ტელეფონი მაქვს, მერეკება და გეტყვოთო! ვიქნები, ბატონო, ჩემთვის წყნარად და მშვიდად ბინავებს ისე არ ავიშლი და სხვას სანერვიულოს არ მოვუმატებ, — არ დავიღუპოთ, ეს კაცს ტელეფონი არ გაუფუჭდეს. ბოლი არ დავწყვიტოთო! აბა ხუთ-ექვსი საქმე — არ მინდა ტელეფონი, მორჩა და გათავდა!

არ მინდა და... არც მაძალებდნენ, კაცმა რომ თქვას. ის კი არა, დიდი პატივიც მცეს და ნამეტანი რომ არ ეწყინებოდა, მერე ჩემთვის დადგებულ ტელეფონზე უარის თქმაც ნამეტანი რომ არ გამძნელებოდა, თავიდანვე ჭკუა იხმარეს და... კარის მეზობელთან ერთად დამიდგეს ბლოკირებული ტელეფონი — ასე ნაკლებად იწვალებთ, ნერვებიც ნახევრად მოგეშლებათ და ჩვენც ნახევარჯერ შეგვაწუხებთო. ისე, კაცმა რომ თქვას, ლაპარაკი მეც ბევრი მიყვარს და ჩემს მეზობელსაც, და მართლაც ბედნიერია ამ ბლოკის დამყენებელი, ბოტა შესვენების და სულის მოთქმის საშუალება რომ მოგვცა ორთავეს. მე რომ ვრეკავ, ის ისვენებს, ბატონო; ის რომ რეკავს, მე ვუცდი და ვისვენებ. რა გინდა ახლა ამაზე მეტი?! დამასვენეს, ბატონო, ენერგიამ დამიზოგეს, ჩემი ოჰოჰოიასაგან სხვებსაც ყურები დაუსვენეს და, როგორ ფიქრობთ, ამისთვის არ ღირს მადლობის გადახდა?!

მარტო ეს რომ იყოს, კიდევ არაფერი. მადლობა იმისთვისაც ეკუთვნოთ, ეს „განახევრებული“ ტელეფონი ნახევარჯერ ისედაც რომ არ მუშაობს. კვირაში ხუთი დღე მოშლილია, ბოლას არ იღებს და ჩვენც მოსვენებული ვართ. მაგრამ რად გინდა? — ერთ ერთი-ორი საათით ამუშავდება და ლაპარაკის საღერღელიც ისევ გაგეშლება კაცს. ნერვებიც, რა თქმა უნდა. მთელი კვირის მანძილზე მიმალებული ზარის წკრიალს რომ გაიგებ, ძალაუნებურად გაგახსენდება ყველაფერი: ისიც, ტელეფონი მუდამ შეუფერხებლად რომ უნდა მუშაობდეს, და ისიც, ლაპარაკის ქირასაც დროულად რომ იხდი და — ძალაუნებურად დამსხვრეული აპარატის საფასურსაც. რას იზამ, აბა, მარტო მავთულს ხომ არ დაიკიდებ სახლში?!

გაგახსენდება ყველაფერი — ეს და ეწყებ ისევ რეკვას, ხეუბს, ვამთს, მუქარას, ჯაგანს, კარიტს და, რა ვიცი, ოთა უბედურებას, რა!.. ბერეკავ კავშირგაბმულობის სამინისტროს. რაღაცნაირად ეუხერხებ დაკავშირებას, ვეუბნი, ვუმტკიცებ, ეხვეწები, ეკუდარები. პასუხი ერთია:

— რა ექნათ? საერთოდ, ბლოკებს ძალიან ცუდად მუშაობენ! გვეს-მის თქვენი!

— დიდი მადლობა, მაგრამ... ბატონო, ეს ხომ არ შეეძლოს? ან ბლოკები შეცვალეთ ერთგრძელ, შეაკეთეთ, ან საერთოდ ეს... გეთყვითო!

— თქვენს უბანში ხაზი ბევრ გვაქვს. ცალკე ტელეფონს ვერ დაგიდგამთ.

— ჩემს შემდეგ სამ კაცს რომ დაუდგამთ ჩვენს კოშკუსში?! უკეთ სამ წელი გავიდა, ბეზრდებით და...

— ტუ-ტუ-ტუ... — ამის პასუხად, ესე იგი, მოპასუხე გაგვიწყრა, და არავინ უწყის, რას გულისხმობს, რას მოასწავებს ეს გაუთავებელი „ტუ-ტუ...“ კარგს რომ არაფერს, ეს ისედაც გასაგებია.

ახლა თბილისის სატელეფონო ქსელის სამმართველოს ვაწუხებ. რაღაცის იმედი მაქვს, მაგრამ... პასუხი თითქმის იგივეა, ისევ იმ „ტუ-ტუ“-თი შეზავებულ-შელამაზებული, მხოლოდ...

— ხაზები არა გვაქვს.

— სხვას თუ...

— არა გვაქვს ხაზები, ბატონო! — და აქ ერთი სასიამოვნო სიახლე: — ხაზს თუ გააყვანინებ, მერე...

„ხაზს თუ გააყვანინებ!..“ საინტერესოა, არა?! მაგრამ — ვის?!. როგორ?!. რანაირად?!. საიდან?!. რა გზით?!. და — რატომ?! ჰო, რატომ?! წარმოიდგინეთ, ახლა თბილისში რამდენი ბლოკირებული ტელეფონია, და ყველამ თვითონ რომ დაიწყოს ხაზების გაყვანა, სადამდე მივა საქმე, რა მიწა ეყოფა ამდენ ხაზებს გადასათხრელად? თანაც, მე შენ გეტყვი და, ისედაც საკმაოდ არაა გადათხრილი თბილისის მიწის ყოველი მტკაველი!

ჰოდა, არ მინდა, ბატონო, ამისთანა ტელეფონი, სულ არ მინდა! ბოლოს მე მოვიშლი ამის შემდეგ ნერვებს და სხვასაც აღარ შევაწუხებ ამდენს, მაინც არ გამოდის არაფერი. ბლოკირებული კი არა, უბლოკო ტელეფონი ეფუძნია ღმერთს და შუაზე გაყოფილი სიკეთე ივარგებს რამედ?! ბოლოს ხურჯინივით ეს ორი მეზობელი ერთ ხაზზე რომ ვართ გადაკიდებულნი, ხომ ხედავთ, არ გამოდის, ბატონო, არაფერი და რა ვქნათ, სანამ ვიყოთ ასე ბლოკირებულ-ცოფირებულნი?! ვითომ თქვენ ჩვენზე უკეთ არ ფიქრობთ თქვენი ტელეფონების ამბავი? — კვირაში ხუთი დღე რომ ბლოკია გაფუჭებული, ორი დღე ან ჩემს მეზობელს აქვს ნერვები მოშლილი, ან მე ვითონ ვარ მოშლილი და რა ჯობდა-ბად მინდა მარტო ტელეფონის სატარატი?! რომელი სამუზეუმო ნივთია, სახლში მაგის დებისთვის ოთახში ორი მანეთი ვიხადო?! ბასაც ნერვებს მიშლის, სამი იმედი ეს კიდევ წამალში მეხარჯება ამ აშლილი ნერვების დასაწყნარებლად და... რაში მარგებს ეს ფასიანი ნერვებაშლილობა?! მე შენ გეტყვი და, სატელეფონო ქსელის მესვეურები ვაზე ადრე დაგინიშნავენ პენსიას, ან დაზღვევის ფულს გადაგიხდიან ბოდიში, ბატონო, ადრე რაც გული გატკინეთ, ახლა იქნებ ამით მაინც გაგოთ რამეო!

ა, ბატონო, ამიტომ არ მინდა ტელეფონი, საერთოდ არ მინდა! უტელეფონოდაც მშვენივრად ვგრძნობდი ადრე თავს და ახლა რა მომივა ვითომ ისეთი, გამოვწყდები ქვეყანაზე, თუ რა? შევცდი ერთხელ, ბლოკირებული ტელეფონის დადგმაზე, რომ დავთანხმდი! ვიფიქრე, კოსმოსში არ გვიჭირს ორი ხომალდის შეერთება და ნორმალური მუშაობა, ეგერ, ცხვირწინ, თბილისში, საირის ქუჩაზე, რა უბედურება დაგვმართა, ორ მეზობელს ერთი ბლოკი როგორ ვერ აგვიტანს-მეთქი? შევცდი და რა ვქნა, ზედ ხომ არ ეფერა გადამაყოლოთ ამ შეცდომას?!

აღარა ვარ, ბატონო, ამის ბლოკში, მორჩა და გათავდა! საერთოდ გამოთიშეთ ეს დაბლოკილ-დაბორკილი —

37-45-48

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა ლაგელოცოს, „ჭინჭარო!“

შარშანდელი შემოდგომა დგებოდა, რომ ნიანგს ახარეს, პატარა ძამიკო შეგეძინაო! გახარებულმა მახარობელს სამახარობლო ჯიბეში ჩაუცურა და ზოოპარკს მიაშურა ახალშობილი ჩვილის სანახავად. „—**მტერი გყავს?!**“ — „**არა, ჩემო საყვარელო თანამოძმეო,** — უთხრა ხვნეშით ბეჰემოთმა, — **აქ, ჩვენთან, ნიანგის გაჩენის პირობები კი არა, რაც მხეცები და ფრინველები ვართ, საკუთარი გაჩენის დღეს...**“ — აღარ უგდო ყური ნიანგმა ბეჰემოთის გოდებას და კუს ტბისკენ აპირებდა ნასვლას, რომ ანაზადად გონება გაუნათდა და შუბლში იტკიცა ხელი (იცის ნიანგმა ეს უესტიც!) — „**რამ დამავიწყა ჩემი მთავარი ძმა, მამა და მარჩენალი ჯვებე დუმბავა, ნიანგს ამ დალოცვილ თბილისში, მის გარდა, სხვა ვინ გააჩენდაო** — და მწერალთა კავშირის ახლადშობილ სასახლეში ამოყო თავი ახალშობილის გულში ჩასახუტებლად.

გაგიგონია?!

— „**კი, ბატონო, გაჩნდა აქ რაღაც შენი მოდგმისა, მაგრამ ბატონმა ჯვებემ და მისმა მეგობრებმა ახალგაზრდობის, სტუდენტობის ხანა გავიხსენეთ (ეჰ, რა დრო იყო!) და მის მოსაგონებლად ბაღანას „ჭინჭარი“ დავარქვით, ეგერაა, კედელზე, არტახებში გაკრული!..**

გულაჩუყებული ნიანგი (მასაც მოაგონდა სტუდენტობა და ჭინჭრობა) ნებიერად გატრუნულ ჩვილს მიუახლოვდა, აათვალიერ-ჩაათვალიერა, აიკითხ-ჩაიკითხა და ნასიამოვნები დარჩა — „**კაი ღონიერი ბავშვი დაბადებულაო!**

— „**ცოტა ნონაშია ნაკლები, მარა აფერია მაგი, კაი მოვლით ისე გავასუქებთ, გაისად, შეიძლება, ამ კედელზეც ვერ დაეტიოს და, შენ რომ ბიბლიოთეკა გაქვს, იქ დავაბინავოთ!** — დააიმედეს ნიანგი.

ფრიად ნასიამოვნები წამოვიდა მწერალთა სასახლიდან ნიანგი. ხუმრობა საქმე ხომ არაა — ღვიძლი თანამოძმის ყოლა ასეთ სოლიდურ ორგანიზაციაში — ახალი სატირულ-იუმორისტული ორგანოს გაჩენა, მართალია, ხელნაწერისა, მაგრამ მაინც ორგანოსი! მოდიოდა და გულში აკაკის ცნობილი ლექსის სიტყვებს ღიღინებდა — „**მივაძახე: ჭინჭარში ნუ ვარდები!.. ნუ გგონია იქ ია და ვარდები!..**“ თან გახარებული ფიქრობდა:

— „**ანი მეც ქე დამადგება საშველი — ქართველი მწერლები იუმორის ეშხზე მოვლენ და სარჩო არ გამოშელევაო!..**

„ნიანგის“ ძვირფასო მკითხველებო, ნობათად გთავაზობთ ჩემი უმცროსი ძმის — „**ჭინჭრის**“ — რამდენიმე ბუსუსოვან, მსუსხავ ფოთოლს!

მწერალთა ესოფლიო ჩემპიონატი

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს საქართველოს მწერალთა კავშირის რამდენიმე სრულუფლებიანი წარმომადგენელი ესწრებოდა: **გურამ ფანჯიკიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ენვერ ნიუარაძე,** აგრეთვე მხატვარი **გიგლა ფირცხალავა,** რომელიც ამ ბოლო დროს მეტს წერს, ვიდრე ხატავს, და თუ ვინმეს მაინც ხატავს — ძირითადად ისევ მწერლებს.

როგორც ბატონმა ჭაბუამ და ბატონმა გურამმა ესპანეთიდან გვაცნობეს, მსოფლიო ჩემპიონატი, თურმე, დიდი ხანია ტარდება არა მარტო ფეხბურთში, არამედ მწერლობაშიც. მწერლობაში მსოფლიო ჩემპიონატებს ოთხი ათას წელზე მეტი ხნის ისტორია ჰქონია.

მწერალთა მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება ათას წელიწადში ერთხელ. სულ დღემდე ჩატარებულია ოთხი ასეთი ჩემპიონატი.

გათამაშებიდან უკვე გამოვარდნენ მწერლები, რომლებიც ჩემპიონატის დაწყებამდე ფავორიტებად ითვლებოდნენ.

გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდნენ **ჰომეროსი, დანტე, შექსპირი, სერვანტესი, გოეთე, ბაირონი, პუშკინი...**

ჯგუფებში შეჯიბრება ჯერ არ დამთავრებულა.

დიდად სასიხარულოა, რომ ფინალისტთა შორის საქართველოს წარმომადგენლები მრავლად არიან: **ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი...**

მიმდინარე ჩემპიონატის საბოლოო შედეგები გამოირკვევა 2.300 წელს.

ექსპერტების აზრით, მოსალოდნელია სიურპრიზები: გამორიცხული არაა, იმედი ვერ გაამართლოს ზოგიერთმა ფავორიტმა და, პირიქით, გუნდმა, რომლისგანაც ამას არავინ მოელოდა, მედალი გაიკრას!

ერთ-ერთ ასეთ გუნდად სპეციალისტები ერთხმად მიიჩნევენ საქართველოს გუნდს, რომელიც ჩემპიონატზე ამ საქმის უდიდესმა მცოდნემ შოთა ართავაჩოს ძე რუსთაველმა ჩაიყვანა (იხ. პ. ინგოროყვას საფეხბურთო მიმოხილვები).

ისღა დაგვრჩენია, მოთმინებით ველოდოთ ჩემპიონატის დასრულებას, მით უმეტეს, რომ 2.300 წლამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი!

პოსტსარიპტუმ

ახლა ცოტა რამ სტატისტიკიდანაც:

მკითხველის კარში ყველაზე მეტი წიგნი გაიტანეს **რუსებმა, ფრანგებმა, ინგლისელებმა, გერმანელებმა და ესპანელებმა.**

უხეშობისათვის ასპარეზიდან გააძევეს ორი მოთამაშე: იტალიელი **მარინეტი** და ფრანგი **მარკიზ დე სადი.**

რამდენიმე ახალგაზრდას ჯერ საერთოდ არ უთამაშია — სათადარიგო სკამებზე სხედან.

ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას და ისევ საყოველთაო გულისწყრომას იწვევს არაობიექტური მსჯობა: არბიტრების დაბალი კვალიფიკაცია აშკარაა. ზოგიერთი რეფერი შეჯიბრებიდან საერთოდ მოიხსნა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს აკლდათ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე (მაგალითად, **დავით უიფიანი,** ვისაც მსოფლიო ნაკრების წევრმა აკაკი წერეთელმა „განთიადი“ უძღვნა!), მათ მაინც დიდებული თამაში აჩვენეს.



ეკოკაცი

ანუ ოთარ მამფორიას სხარტულები

უტექსტო ნახატები ი. ვეინაშვილისა

მწერალთა კავშირის მაღაზია

რითმა	განცდა	გრძნობა	ქაღალდი

— თუ შეიძლება, ამიწონეთ ორასი გრამი რითმა!
— რითმა გვქონდა, მაგრამ გაგვითავდა!
— მაშინ მომეცით 150 გრამი განცდა!
— განცდა, კარგა ხანია, არ მიგვიღია!
— გრძნობა არა გაქვთ?
— გრძნობას აქ რა უნდა?!
— ამიწონეთ მაშინ ორი კილო ქაღალდი!

ტელემაყურებელი მწერლების გასაგონად

ტელევიზორის ჩამრთველი
მე ბევრი ვიცი ქართველი!
სამაგიეროდ არ ვიცნობ,
მაგის გამომრთველს არვისო!

სიკვდილ-სიცოცხლის გაგაასება

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს:
— „ღვინოს ნუ სვამო, იცოდე! —
გულიც აგტკივა, ღვიძლიცა,
კერძი გახდები მიწისა!“

— „არ გაგახარებ, სიკვდილო,
უნდა ჩაგიდგე კრიჭაში! —
ამ საღსალამათ სხეულსა
არ ჩამოგიტან მიწაში!“

უკვდავება

თუ სულიერს ანადგურებს
ნეიტრონის ცეცხლი
და უსულოს ტოვებს
სიბრძნის მთესავად, —
გიხაროდეს! — შენ და
შენი ლექსი
გადარჩით და —
უკვდავებაც ესაა!

ზოგიერთი ხულიგანი
ასაკს რას დაგიდევს? —
წვერზე ცეცხლი რომ გაგიჩნდეს,
„პრიმას“ მოუკიდებს!

დიალოგი

— სასოფლოზე სამი წელი
ვაბარებდი გამოცდებს,
მაგრამ მაინც არ ჩამრიცხეს,
მათი ჯიში ამოწყდეს!
— სამი წლის წინ, ბიჭო, სოფლად
ვაზი რომ ჩაგეყარა,
ახლა რთველი გექნებოდა,
მოალხენდი ქვეყანას!

ცოლი — ერთგული მტერია,
ქმარი — ორგული მოყვარე!
ცალ-ცალკე ასე არიან,
ერთად რაღაა ორთავე?!

კეთილი პროტექტორი

ჩვენს. ძველებს უთქვამთ, ძამია,
და გამახსენდა ამხანად:

— „პატარა ძღვენო, სად მიხვალ?“
— „დიდისა ნამოსაყვანად!“
შენ არც მცირედი მომართვი,
მე ქე მოგიწყვე ბაღანა!

ნამდვილი ლეგენდა

ღმერთმა ღვინო „ტიბაანი“
დაულოცა კახელსაო:
„დინჯი კაცი რომ აჩქარდეს,
ამას უნდა სვამდესაო!“
გურულს უთხრა: **„შენ კი, ჩემო**
ძორეულო ნათესავო,
მკვირცხლი ხარ და არ გაფიცხდე,
დამილიე ადესაო!“

კითხვა-პასუხი

— რომელი უფრო მეტს ფასობს:
სიბერე, ღვაწლით მოსილი,
თუ ლაღი ყმაწვილკაცობა?
— დაჭმუჭნილ ასმანეთიანს
ტკიცინა მანეთიანმა
ეცადა და ვერ აჯობა!

ავტობუსში კარგად მჯდომს,
ტაქსის რიგში მდგომი სჯობს!

რეჟისორმა დადგა თავის პიესა,
პრემიერა უტაშოდ შეუფასეს!..
იმ პიესის დადგმას სჯობდა სცენაზე,
ლიტრა ღვინო რომ დაედგა სუფრაზე!

იუგილარი

— წელს სამოცი მისრულდება, მაგრამ
არა, ბანკეტს მე არ გადავიხდი!
— მაგი უნდა გადიხადო, ბაბა,
აბა, საბანს ბავშვიც კი გადიხდის!

„პირიმზე“ გვაცნობებს

საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის გამოცდილმა ხელოსანმა და მწერალმა **ვილი ჭამჭამაძემ** საკუთარ ოჯახში **(ფასანაურის მეოთხე შესახვევი №3, მეორე სადარბაზო, პირველი სართული, ბინა 0)** შექმნა დაზგა, რომელზედაც უმტკივნეულოდ ხდება კლასიკური ლექსის გადაკეთება ვერლიბრად. მსურველებს ვთავაზობთ უკვე გადაკეთებული ლექსის ნიმუშს **გალაკტიონის** შემოქმედებიდან:

ძაფი ნერვის არ არის ჩემში პოეტის,
წვეთი სისხლი არ არის ჩემში ქართული!..

დარეკეთ ტელეფონით: **78-37-38!**

ნახ. გ. ფირცხალავასი

— ლიტმუშაკს ნაწარმოების დაწუნებაც აღარ შეგიძლია?! იწუნებ, ხომ არ ინონებ!..

მშობლების საყურადღებოდ!

ბავშვმა დახატა მთები არხოტის:
ცუდად არც ერთი ბავშვი არ ხატავს!

გოგოლმა „მკვდარი სულების“ მეორე წიგნი დაწვა,
ალავერდს გადმოვიდა და დაგვეთხოვა და დაწვა!..
მე სიტყვის მერიქიფე ვარ, მე სიტყვის თამადაც ვარ,
ვიცი, ძალიან ძნელია ნონასწორობის დაცვა,
ძნელია წიგნის დაწერა, უფრო ძნელია დაწვა,
მაგრამ ჯერ უნდა დაწერო და მერე უნდა დაწვა!

გ ა ა მ ო ც ა ნ ა

ცარიელ ბოთლებს ვერ იტანს,
ამბობს: „ინ ვინო ვერიტას!“

რაჟდენ გვეტაძე, იოსებ გრიშაშვილი და სხვები ქუთაისში წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში მამია გურიელის საფლავს ეძებდნენ. ვერ ნახეს. ერთ ლოდზე მჯდარი რაჟდენი წამოდგა, თურმე ზედ იჯდა იმ საფლავზე.

რუსთაველზე მიმავალი დემნა შენგელაია პოლიკარპე კაკაბაძეს შეხვდა და გულმოსულმა უთხრა:
— რას მიშვები, პოლიკარპე?! აბა, ეს როგორ თქვი, დემნამ თავისი „განძი“ სტეინბეკის „მარგალიტიდან“ გადმონერაო?!
— ჩემო დემნა, აბა, როგორ ვიტყოდი ასეთ რამეს?! არც სტეინბეკის მოთხრობა წამიკითხავს და არც შენი „განძი“ ვიცი, რას წარმოადგენსო!

ერთმა ცნობილმა ქართველმა პოეტმა, როცა მოსკოვში დრეზდენის გალერეის ექსპონატების დიდებული გამოფენა დაათვალიერა, მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა:
— ახლა კი მივხვდი, მხატვრისთვის ფერი (საღებავი) ისეთსავე როლს ასრულებს, როგორც მწერლისთვის — მელანიო!

სამგლოვიარო განცხადებაში ვინმე ჟორესი კ-ძე ნათესავებიანად აცხადებდა, ესა და ეს გარდამეცვალაო. ერთმა ჩვენმა მწერალმა თქვა:
— შეხედე შენ, რა სიშტერეა, იმ ჟორესისათვის მშობლებს ქუჩის სახელი არ დაურქმევიათო?! (თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩას ადრე ცნობილი ფრანგი საზოგადო მოღვაწის ჟან ჟორესის სახელი ერქვა).

„დაფასებული“

რაც შეგეძლო, ბამბა
აჩხრიალე, ძამიკო!
შენი ნაწერ-ნაღვაწი
ყველამ კარგად გაგიგო
და დიდ ტყემლის ტყე-პარკში
ბამბის ძეგლი აგიგო!..

სათაგვეთის პარადოქსი

წარმოიდგინეთ თაგვების ცირკი! —
ჰა, არენაზე, მოხდენით, სხარტად
თაგვ-მწვრთნელის შოლტის
ტყლაშუნზე უცებ
კისერზე ეჟვანს იკიდებს კატა!..
ატყდება ერთი ტაში და ვაშა!
გუგუნებს ცირკი — პირთამდე სავსე,
მაგრამ რა ესმით ეჟვნის ხმა
თაგვთა,
ცარიელდება დარბაზი წამსვე!..

მოთქმა — „დიდი დანაკარგი“

ოი, რა კაცი დავკარგეთ!
ო, რა მშოენელი,
რა ეჩო!
იმის მოთლილი, ნაქაფი,
ვერ ზიდო, ასო კამეჩო!
ბრძანებდა: „—ხვეტე!
მნახველი
გააშტერ-გამოალენჩო!“ —
მაგრამ, წუხელის, თვისსავე
ნაქაფ ქონს უცებ დაეხრჩო!..

●

ნახველ —
ცხოვრების სუკ-ბარკლის
სხვა ხერხით ამგლეჯ-ამხლეჩო!..
ოი, რა ხვითო დავკარგეთ!
ოი, რა ეჩო, რა ეჩო!..

გადიდკაცებული

თუ ყავარიც და კუდიც
პეტრემ იშოვა სკამით,
პავლეს თუ უკვე ვეღარ ცნობს, —
ჩვენ რას გვიშავებს ამით?!
ბოლოს და ბოლოს,
რა მოხდა?! —
რაა იმაში ცუდი?! —
თავის ყავარზე თუ უდევს
პეტრეს თავისი კუდი?!

. . .

ვინ რას დააკლებს გაყინჩულს! —
მფარველის ფრთებით ფრინავს!
ვინც თავზე ბუზსაც არ ისვამს, —
ბუზს ვინ აუფრენს იმას?!

ჩვენი სტუმარია პოეტი

ანზორ აბულაშვილი

სატირული ლირიკა

მგელი და კრავი

ერთხელაც, დახეთ, ბეკეკამ რუში
ფეხი ჩაჰკრა და აიმღვრა წყალი!..
მგელიც, მწყურვალი, იქვეა, ქვემოთ,
ხელადვე ჰკიდა ბეკეკას თვალი!..

და შემოჰყმუვლა უმწეოს რისხვით:
„ — იქნება ახლაც იმართლო თავი?! —
ვითომც სანყალი და უწყინარი
ერთი უმწეო ბრძანდები კრავი!“
და, კაცმა რომ თქვას,
ამჯერად, მართლაც,
მგელი წმინდა წყლის სიმართლეს ყმუის!..
და მაინც, რა ვქნა?! [illegible] კრავთან
ამ შემთხვევაშიც ის მგელი ტყუის!

ორატორი

დაუჯერებლად დაჯერებულს
ვუსმენთ ორატორს,
ავტომატივით მომართულა
და ავტომატობს
და სიტყვათა ჯერს ტყვიებივით
გვახლის და გვახლის! —
ჭეშმარიტების მთქმელი იყოს,
ვითომცდა, ახლის!
ოქროპირობა მისი „ბრძნული“,
მჭქქარ-მქუხარი,
პატარა დარბაზს, ლამის არის,
ქვევრივით ხეთქავს,
მაგრამ რას ამბობს, რა სიკეთეს,
ან თუ საწუხარს, —
ნაძლევს მოვდივარ, —
მსმენელთაგან ვერავინ ვერ თქვას!

მისდამი...

გულშავი და უკეთური,
სულ საავკაცოდ შეთქმული,
ვითომც ანგელოზს ერთგულობს, —
ყველა ეშმაკის ერთგული!
ხელობით ვერაგ-მზაკვარი
(ან სხვა რა ძალუძს კაცუნას?!)
ნიჭით და სულით ლატაკი,
ვითომც ღრუბლებშიც დაცურავს!..
ვინც ძმაა ვითომც მუშისა,
მეზვრის, მწყემსის თუ მეგუთნის!..
ვინც თავს შეიცნობს, ძამია,
ეს ლექსი იმას ეკუთვნის!

ამბები ადიგენური...

კარაქი — მამასისხლად!

მამასისხლად გ ა ჰ ყ ი დ ა სახელმწიფო სურსათ-სანოვაგე **ანტონ სერგოს ძე მამასახლისაშვილმა.** მუშაობდა რა ანტონი რაიკოოპერატივში ექსპედიტორად, ხელს ითბობდა სახელმწიფო ქონებით. ერთ მშვენიერ დღეს მან, როგორც მატერიალურად პასუხისმგებელმა პირმა, გორის მაცივარკომბინატიდან გამოიტანა 300 კილოგრამი კარაქი და 540 ქილა შესქელებული რძე. გაქნილმა საქმოსანმა იგი საწყობის გვერდავლით გაასაღა და გვარიანი თანხა ჩაიჯიბა. ანტონს დანაკლისი კი დააფარვინეს, მაგრამ ორი წლით თავისუფლების აღკვეთას ვერ შეგუებია!..

ყველის ქურდი

მადა ჭ ა მ ა შ ი მოდისო! — თქვა **ბორის დემურალის ძე მიქელაძემ** და ხელები განზე გაშალა. რაიკავშირის ზედნადებითა და მინდობილობით ბორისმა ახალციხის ყველკარაქის მთავარი ქარხნიდან გამოიტანა 3.500 კილოგრამი ყველი. გზაზე ბევრს ფიქრობდა ექსპედიტორი. ბოლოს ფიქრების გორამ ხულოს რაიონამდე მიიყვანა, სადაც ბევრი მუშტარი აღმოაჩნდა ყველის ქურდს.

ავტომანქანა სწრაფად დაცალა და ნავაჭრით უბეები გაივსო, მაგრამ წაასწრეს!..

საქონელს რომ ენა ჰქონდეს...

უმოწყალოდ ე ქ ც ე ო დ ნ ე ნ პირუტყვს, არ უქმნიდნენ ელემენტარულ პირობებს რაიონის ზოგიერთ მეურნეობასა და კოლმეურნეობაში. რაიპროკურატურის (პროკურორი **ავთანდილ თათოშვილი**) ინიციატივით შემოწმდა ადიგენის რაიონის მეცხოველეობის ფერმები. ფაქტები შეუწყნარებელია — უნებართვო დაკვლა, დაცემა, ყალბი აქტები!..

გასულ წელს, საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელების დაუდევრობითა და უმოქმედობის გამო, იძულებით დაიკლა და დაეცა 73 სული პირუტყვი.

ადიგენის საბჭოთა მეურნეობაში (ყოფილი დირექტორი **ქ. ბალაშვილი**) იძულებითი წესით დაიკლა 16 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ბოლაჯურის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **ნ. ჩხიტუნიძე**) 8 მეწველი ფური დაიკლა იძულებითი წესით. ანალოგიური მდგომარეობაა ჩორჩანის (თავმჯდომარე **ი. ხოზრევანიძე**), ღელოვნის (თავმჯდომარე **ა. ენდელაძე**) კოლმეურნეობებში.

მკაცრად დაისაჯნენ ზემოდასახელებული საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელები, სახელმწიფოს აუნაზღაურდა თანხები, მაგრამ იმ 8 მეწველ ფურს, ან 16 მსხვილფეხა პირუტყვს რა გააცოცხლებს, რომლებიც ათასობით მანეთის მოგებას მისცემდნენ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს?!

კუკური თორდია,
„ნიანგის“ კორესპონდენტი.



ნახ. გ. ახალაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოჩენები

ციურ ს ხ ე უ ლ ე ბ ზ ე დაკვირვებამ ადამიანი სამყაროს მრავალ საიდუმლოებას აზიარა. ახლა ბავშვმაც კი იცის, რატომ ხდება მზის დაბნელება, მთვარის ფაზების ცვლა, ზღვის უკუქცევა და მოქცევა. დღეს ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ფრინველთა და ცხოველთა გარკვეულ სახეობათა, აგრეთვე საგნების გადაშენება-გაქრობის მიზეზი ციური სხეულებია! რა თქმა უნდა, სამყაროს გაჩენის დღიდან მომდინარე ეს პროცესი დღესაც გრძელდება:

როდესაც მზის სისტემაში მყოფ პლანეტათა განლაგება ხდება ერთ სწორ ხაზზე და ამ დროს დედამიწის ბრუნვის ღერძის დახრა ორბიტისადმი 90 გრადუსია, — ქრება მამაკაცის ორმოცდარვა ზომის მაისური!

როცა მზე შევა ლომის ზოდიაქოში, ხოლო მერკურის ხილული სიკაშკაშე მიაღწევს + 6 ვარსკვლავიერ სიდიდეს და ელიფსური გალაქტიკიდან წამოსული ორჯერადი ვარსკვლავის სინათლის სხივი გაივლის მზის მაგნიტურ ველს, — წყდება პატარა, ესე იგი წვრილი ლურსმანი!

თუ მაგელანის მცირე ღრუბლის გალაქტიკაში რომელიმე გიგანტ პლანეტას „დაუშვებელ“ მანძილზე მიუახლოვდა თავისი თანამგზავრი და მეტეორიტულ რგოლად იქცა, ხოლო ამ დროს მარსის მზისქვეშა წერტილის ტემპერატურამ 4.000 გრადუსს გადააჭარბა, — მთლიანად ისპობა მინუს ორი ნომერი სათვალის შუშა!

როცა მერკურის ბრუნვის დახრა ორბიტისადმი 45 გრადუსია, ხოლო ორბიტის დახრა ეკლიკტიკისადმი — 7.004 გრადუსი და მეტაგალაქტიკაში ზეახალი ვარსკვლავის აფეთქების შედეგად წარმოშობილი კოსმიური სხივი ჩვენს გალაქტიკაში შემოიჭრება, მაშინ ხილბოსტნეულის მაღაზიებში უცებ გაქრება ქინძი, სამაგიეროდ, თავსაყრელად იქნება ოხრახუში!

მრავალი ასეთი მოვლენა თუ ფაქტი დღეს მეცნიერულად ახსნილია, მაგრამ უამრავი რამ ჯერჯერობით სამყაროში კვლავ იდუმალებით არის მოცული.

მაგალითად, ადამიანის გონებისათვის ჯერაც მიუწვდომელია, თუ რა იწვევს პერიოდულად თერმომეტრის, მაკრატლის, უთოსა და მისი მაგიდის, ნემსისა და ძაფის გაქრობას!

არავინ იცის, რა მიზეზით გაქრება ხოლმე კბილის ჯაგრისი, ლამპის შუშა, გასასაპნი ფუნჯი, ან რატომ წყდება პერიოდულად სასადილო დანა, მაშინ, როდესაც ხელუხლებელი რჩება თითქმის იმავე ნივთიერებისგან შემდგარი ჩანგალი და, პირიქით!

იდუმალებითაა მოცული, აგრეთვე, თუ რა ძალა სპობს ზამთარში, მინუს 20-25 გრადუსზე, ქურქებს, ბეწვეულსა და სხვა სახეობის თბილ ტანსაცმელს და რა ძალა გამოყრის მას მოულოდნელად ზაფხულის პერიოდში, პლუს 35-45 გრადუს ტემპერატურაზე!

ცხოვრება წინ მიდის! ყოველდღე ახალ-ახალი აღმოჩენების მოლოდინით ვართ დაძაბულნი! ადამიანი გაიჭრა კოსმოსში, ფეხი დაადგა მთვარეზე, ავტომატურმა სადგურებმა ჩამოიტანეს სინჯი სხვადასხვა პლანეტებიდან!.. იმედია, კიდევ მრავალ გრანდიოზულ აღმოჩენათა მოწმე გავხდებით და მრავალ საიდუმლოებას აეხდება ფარდა!

ნომადი ბართაია

ვიცინოთ ერთად

ქართული ხალხური იუმორი

გურულები წყალტუბოში ჩავიდნენ სამკურნალოდ. ერთ-ერთმა მოასწრო გახდა და აუზში ფეხი ჩაყო.
— მოგიხთა?! — მისცვივდნენ დანარჩენები.

●

იმერლები — ჯარში. დილით: „პოდიომ!“
ერთ-ერთი გვერდს შეიქცევს. — გადით, ბოშო, რომელიცხა პადიომა ხართ, და სხვებს გვაცალეთ ძილი!

●

ერთი ძუნწი ატლანტის ოკეანეზე მიფრინავს. ამერიკელი მილიონერი გახდა ავად. სისხლის გადასხმაოო საჭიროო. მისი ჯგუფის სისხლი ამ ძუნწს აღმოაჩნდა.
— გადაუსხი და 10.000 დოლარს მოგცემს!
— ჯერ მომცეს, თორემ ჩემი სისხლი რომ ჩაუდგება ძარღვებში, მე ვიცი, რასაც მომცემს!

●

ქუთაისელმა ლიმონათი დალია. მებუფეტემ 20 კაპიკი გადაახდევინა.
— ბიჭო, 20 კაპიკს რომ იღებ, შენთან რევიზია არ ყოფილა?
— რავა არ იყო, ძამია, მარა შენი ლიმონათის ფული კი არ გოდოუხდია?!

●

კაცს ხეზე ასვლა უნდა, მაგრამ ფეხსაცმლის ლანჩა უსხლტება. გამვლელი ურჩევს: — რასა წვალობ, ფეხსაცმელი გაიხადე და ისე ადიო! ამან იფიქრა: რომ გავიხადო, მომპარავსო და — არა, ძმაო, რო ავალ, იქიდან სხვაგან მივდივარო!

●

მარჯვენათვალჩაწითლებული პაციენტი შესჩივის ექიმს: ბატონო ექიმო, თვალი მტკივა, განსაკუთრებულ ტკივილს კი ჩაის სმის დროს ვგრძნობ!
ექიმი ურჩევს პაციენტს: — ჩაის კოვზი ჭიქის მარცხენა მხარეს გადაიტანეთ ხოლმეო.

●

ქალიშვილმა ტაქსი გააჩერა. ტაქსისტს მისამართი უთხრა. გზაზე ტაქსისტმა ახალგაზრდები ჩაისვა. ბიჭები ახორხოცდნენ.
მძღოლი ტაქსს აჩერებს:
— თუ შეიძლება, ჩაბრძანდით, თქვენ, ქალიშვილო!
— რატომ?!
— მოგაყენებენ ეს ხვადაგები შეურაცხყოფას და დაგაბრალებენ მაგასაც დათა თუთაშხიას! ვიცი ეს მე!

●

კაცი თუთიყუშს ყიდულობს.
— რა ენებზე ლაპარაკობს?
— გერმანულად და ინგლისურად. ხედავთ, ფეხებზე ძაფები აბია. ლურჯ ძაფს გამოსწევთ — ინგლისურად ალაპარაკდება, მწვანეს — გერმანულად.
— ორივე ერთდროულად რომ გამოვწიო?
— წაიქცევი, შე შტერო! — ამბობს თუთიყუშე.

●

გურული ყიდის ლობიოს. მყიდველი:
— სადაურია ეს ლობიო?
— გურული!
— თუ ძმა ხარ, მე ვერ ვარჩევ! გურული ლობიოს ყიდვა მთხოვეს და არ მომატყუო! მართლა გურულია?!
— გურულია, ძამა, და ყაბალახს ვერ დავახურავ ახლა მე!

●

მძღოლმა წითელ შუქნიშანს ყურადღება არ მიაქცია. გააჩერეს.
— რატომ გაიარე წითელზე?
— რა ვქნა, ბატონო, ვერ დავინახე!
— კაცო, ცოცხალ ავტოინსპექტორს ხომ არ ჩამოგიკიდებთ შუქნიშნის მაგიერ?!

●

შუაღამე გადასულია. ქმარი ვერ იძინებს, წამდაუწუმ გვერდს იცვლის.
ცოლი: რა მოგვიდა, რატომ არ იძინებ?
ქმარი: ჩვენს მეზობელს ვალი ხვალ უნდა მივცე და ფული არა მაქვს!
ცოლი დგება და მეზობელს ურეკავს: — ჩემი ქმარი ხვალ ვალს ვერ მოგცემს, ფული არა აქვსო! შემდეგ ქმარს მიმართავს:
— ახლა შენ მოისვენე, დაიძინე და იმან იწრიალოს ლოგინში!

●

გურული და კახელი ერთ კუპეში მოხვდნენ:
— დამღუპა წელს ამინდმა! სიმინდი დავთესე და კაკალი არ მოსულა! — დაიჩივლა გურულმა.
— მამაცხონებულო, სიმინდი თუ დათესე, კაკალი როგორ ამოვიდოდა?! — დაამშვიდა კახელმა.

●

კახელი საცოლესთან ერთად სეირნობს ქუჩაში. სამწვადეს რომ ჩაუარეს, ქალმა მორცხვად ჩაილაპარაკა:
— იფ, რა სუნები გამოდიოდა!
— კიდევ ჩავიაროთ, რა!

●

გურულს ქურდი დაადგა თავზე:
— გაიხადე ქურქი!
— გაზაფხულდა, თუ?!

●

— შალავ, ამბობენ, ბმაგირა ... ჩამაივლისო და, შენს გამარჯვებას ... ბიცი, ბალღები დასანათლი მყავ და ... უნდა დამინათლო!
— გიგავ, შენი ძალიან დიდი ხათრი მაქ, ძალიანა, რო მეტი არ შეიძლება. მაგრამა, შენც გეცოდინება, მე თვითონა, შარშანწინა ჩემი ბალღები სხვას დავანათვლინე!..

●

კახელმა მანდარინი იყიდა, გაფცქვნა, — ეგ რამოდენა კურკა ჰქონია ამ ვერანაი! — რბილი გადააგდო და ქერქს დაუწყო ჭამა.

●

მეწვრილმანე ვაჭარი ხშირი სტუმარი იყო თავისი მუდმივი და გულქართული ფშაველი მასპინძლისა. ერთხელ ეს ფშაველიც ჩამოვიდა თბილისში, ივაჭრა, სალამოს თავის ნაცნობ მეწვრილმანეს მიაკითხა, მაგრამ მან „ვერ იცნო“.
კი ხნის შემდეგ კვლავ ეწვია მეწვრილმანე ფშაველს თავისი განუყრელი ვირით. სიმინდს დათვი შემოეჩვია, მოდი, ამაღამ ვუყარაულოთ, მარჯვენა მხარეს მე, ჩავუსაფრდები, მარცხენა მხარეს შენ გაიკეთე საყუჩიო, შესთავაზა მასპინძელმა. კარგიო.
შუადამე რომ გადავიდა, ფშაველმა სტუმრის ვირი ახსნა და მისი პატრონის მხარეს შეაგდო. გავარდა თოფი. შეირბინა მასპინძელმა. სტუმარი მოკლულ ვირს დასდგომია თავზე...
— შენი ვერაფერი გამიგია, თბილისში ჩამოვდივარ, მე ვერა მცნობ, ფშაველი ამოდიხარ და — საკუთარ ვირსა! — „გაუწყრა“ მასპინძელი...

●

ბღარიკაკი ბაბო (ბღარიკაული) ქურდიც იყო, მოჩხუბარიც, აფერისტიც და კარგი მოლექსეც. ბღარიკაულს ვიღაცამ მაგარი ალიყური აჭამა.
— ოო, ოო, ოო! ეს რა მიყ ამ.... ამ...!
ბღარიკაული მუხლებზე დავარდა და ბალახების ქექვა დაიწყო. ხალხი გაოგნდა. ვიღაც მისმა ნაცნობმა ვეღარ მოითმინა:
— მანდ რას იძეგ, შე ფურო?! მანდ რა **უნდ შენ მაშუღლარს? სილა შამაგკრეს,** სილა!
— რას ამბობ, კაცო, რა სილა? პირში ხუთმანათიან ოქრო მედვ, აის გამასრევი, მაგ, მაგ!..
ამბობენ, მოწინააღმდეგეს სასამართლოს ძალით ბაბომ 5 მანეთი ოქრო წაართვაო.

●

სერგა „არყისტი“ გახლდათ. ვინმეს რომ ღვინიანი ჭიქა შეეთავაზებინა, „ბელავა“! — იტყოდა და ღვინიან ჭიქას გვერდზე გასწევდა.
ერთხელაც „ცხორჩიგათ“ დაბრუნებულ სერგას გზაზე მეზობლები შეხვდნენ და მიულოცეს: შენმა შვილმა ისეთი ლამაზი ინგუში გოგო მოიყვანა, რომ ვარსკვლავებს ეთამაშებაო.
— რაისთვი გამაჰყვა, ნეტა, მაგ მაიმუნსა, მაგ უსაქმურსა, მაგასა! — გაბრაზდა სერგა.
— რაისთვი ლანძღავ, შენ შვილს რაიღა სჭირს სალანძღავი? — შენიშნა ერთმა.
— ცოტაი ხერხი კი უხმარია, უთქომ იმ ქალაისადა: მდიდრები ვართო, მამაჩემი ლუდის ქარხნის დირექტორია ქალაქსო, — დაუმატა მეორემ.
— იი, ძაღლისშვილი, ძაღლისშვილი! არ-ყის ქარხანაი მაინც ეთქო! — „გადაირია“ სერგა...

შეკრიბეს: ა. ჯაფოძემ, ბ. ენუქიძემ, მ. დიდებაშვილმა, რ. მუხიაშვილმა, დ. ვაშალომიძემ, ს. ხაჯაპურიძემ, ვ. ბერიკაულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობი ჟურნალისტი

დიტრიპ კნაკი
(გდრ)

კოლექტივთან შეგუება

მაიერი დერეფანში მიმოდიოდა და განერვიულებული წარამარა საათს დაჰყურებდა. უცნაურია: უკვე ათის ნახევარია და ლაბორატორიაში ჯერ არავინ არის!..

ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა გასაღებიანი კაცი და მაიერი მოუთმენლად მივარდა:

— გამარჯობათ, ჩემი გვარია მაიერი. მე თქვენს ლაბორატორიაში დამნიშნეს!..

— დიდად სასიამოვნოა, მე დოქტორი ვალტერი გახლავართ! ახლავე წარგადგენთ კოლეგებთან! დავიწყოთ ჩვენი მშვენიერი ლაბორანტი ქალებით...

დოქტორი ვალტერი კარს დაეჯაჯგურა, მაგრამ დაკეტილი აღმოჩნდა.

— ჰო, მართლა... სულ დამავიწყდა: ლიზჰენმა გამაფრთხილა, ხვალ დილით თმა უნდა შევიღებო, მთელი კვირაა რიგში ვდგავარო. ჰერტრუდა კი კონსულტაციისათვის წაჰყვა!.. ეს დოქტორ დიურერის კაბინეტია. ერთი წუთით... რატომ არ არის? გამახსენდა: კარგ მეთუნუკქეს ეძებს. იცით, თავისი „ვარტბურგი" დაამტვრია. გვერდით კოლეგა კვარმი მუშაობს. თუ არ ვცდები, დღეს მას ნახშირი უნდა მიუტანონ შინ. მის მეზობელ კოხს კი, ალბათ, მხოლოდ ზეგ, ანდა ცოტა მოგვიანებით ვიხილავთ. უკვე კვირაზე მეტია, შინ ზის და ტელევიზორის ოსტატს ყარაულობს.

— ამ მაგიდასთან ვინ ზის? — ჰკითხა მაიერმა.

— ეს ადგილი უკვე ორი თვეა ცარიელია. ფუნკმა მიგვატოვა. წარმოგიდგენიათ, არ მოეწონა ის მშვიდი და საქმიანი ატმოსფერო, რომელიც ჩვენს ლაბორატორიაში სუფევს. გულახდილად რომ ვთქვათ, პირწავარდნილი ინტრიგანია. ამიერიდან ეს თქვენი ადგილი იქნება და მწამს, მყისვე შეეგუებით ჩვენს კოლექტივს. დააფასებთ ჩვენი მუშაობის სტილს!.. მე უფრო დაწვრილებით გიამბობდით თქვენს მომავალ საქმიანობაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს შინ მღებავებს ველოდები. ხომ არ გნებავდათ, გეკითხათ რამე, კოლეგა მაიერ?

— იცით, ბატონო ვალტერ... დღეს მაგდებურგიდან ჩემი და ჩამოდის და მინდოდა, დავხვედროდი...

— მიბრძანდით, გეთაყვა! გეტყობათ, საზრიანი კაცი ხართ! არ მეეჭვება, რომ ნამდვილად შეეწყობით ჩვენს კოლექტივს!

გერმანულიდან თარგმნა ზოთა ამირანაშვილმა

ნახ. იორდან პოპ-ილევისა (იუგოსლავია)

„ნიანგის" ყურადღებით

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო:

„ნიანგის" გასული წლის მე-15 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში **„ბარათები ნიანგს"** — აღნიშნული იყო გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის სასოფლო ამბულატორიის შენობის ავარიულობის ფაქტი.

ამბულატორიის შენობა დანგრეულია. მის ნაცვლად რაიონის ხელმძღვანელობამ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ახალაშენებული შენობის მეორე სართულზე გამოჰყო შესაბამისი ფართი, სადაც ამბულატორიის მუშაობისათვის შექმნილია ნორმალური პირობები.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო:

„ნიანგის" გასული წლის მე-11 ნომერში სათაურით — **„უცნობი ჟურნალისტის ჩანაწერები"** — დაბეჭდილი კრიტიკული შენიშვნა თიანეთის რაიონში მდინარე საგამზე ხიდის მშენებლობის გაჭიანურების შესახებ, სინამდვილეა.

რაიონის ფარგლებში, იორის ნაპირსამაგრ სამუშაოებთან დაკავშირებით, საჭირო შეიქნა მდინარე საგამის რეგულირება, რამაც გამოიწვია ადრე დაპროექტებული ხიდის ადგილის შეცვლა და შესაბამისად ახალი პროექტის შედგენა. ხიდის მშენებლობა დაწყებულია, იგი საექსპლუატაციოდ გადაეცემა 1983 წლის დასაწყისში.

ზუგდიდის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი:

„ნიანგის" მე-14 ნომერში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილში — **„ორსანტიელთა სატკივარი"** — მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა.

ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ორსანტიის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა და სანერგე საბჭოთა მეურნეობამ მიიღეს სათანადო ზომები. შეკეთდა სასოფლო კლუბის შენობა, გარდა ამისა, შედგენილია შენობის რეკონსტრუქციის ტექნიკური დოკუმენტაცია. მშენებლობა გათვალისწინებულია 1983 წლისათვის. ამავე წლისათვის შეიცვლება აგრეთვე ელექტრობოძები.

სოფელს უკვე აქვს მარტივი ტიპის სტადიონი, შეძენილია სპორტული ინვენტარი, მეურნეობას აყვანილი ჰყავს მეთოდისტი, იმართება სპორტული ღონისძიებანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 3 (1636) თებერვალი. გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარი - რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე (პასუხისმგებელი მდივანი), გიგლა ფირცხალავა, ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ვაჟა ჭანიშვილი (მთავარი რედ. მოადგილე), ნაფი ჯუსოითი.

●

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად 6. 1. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 2. 83 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 1,25. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,7. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა №65 უე 06921 ტირაჟი 136,000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

●

ჩვენი მისამართი: 380008 თბილისი-8 რუსთაველის პროსპექტი № 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54. მთ. რედ. მოადგილის 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии. Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси. улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137

7-83

ყოველწლიურად 4-5 ათას კაცს ითხოვენ აშშ-ის სარაკეტო ჯარებიდან არანორმალური ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობის გამო.

გაზეთებიდან

ფერადი საფრთხე



176
4.III
83